ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7709663

ნომერი: AR11115492

თარიღი : 05.11.2025

გაცემის თარიღი : 19.11.2025

გაცნობის თარიღი : 19.11.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კრწანისის შესახვევი N17 ; ქალაქი თბილისი , კრწანისის შესახვევი N17 ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/59) ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/60) ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/61);

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ლეკიაშვილი პ/ნ 01017013777
- თბილისი კ.მესხის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 5 ნოემბერს №AR11115492 განცხადებით მომართა შალვა ლეკიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებით, №01.18.06.012.146 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი დამხმარე 765.9 კვ.მ. ფართობის დამატება. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 6188.6 კვ.მ-ის ნაცვლად 6191.2 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 1008.3 კვ.მ-ის ნაცვლად 869.2 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 3516.8 კვ.მ-ის ნაცვლად 3536.2 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1537.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1557.1 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 15673.7 კვ.მ-ის ნაცვლად 16342.0 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, არასწორი დაჯამების გამო. აგრეთვე, შეთანხმებული -6.60, -3.60, +4.20, +7.50, +10.80, +14.10, +17.40 და +20.70 ნიშნულების გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ აღნიშნული ნიშნულების წარმოდგენილ გეგმებზე მაჩვენებლების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს გამორჩენილი დამხმარე 765.9 კვ.მ. ფართობი. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 6191.2 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 869.2 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 3536.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1557.1 კვ.მ., საერთო ფართობად - 16342.0 კვ.მ.
2. სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებით შეთანხმებული -6.60, -3.60, +4.20, +7.50, +10.80, +14.10, +17.40 და +20.70 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 ოქტომბრის №7683176 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.